

ქართული ფილოსოფიის ახალი პერსპექტივები ინტერკულტურული აზროვნების ქრილში

(განაზრებანი პროფ. თენგიზ ირემადის ნაშრომზე – „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე“, თბილისი, „ნეკერი“, 2013)

„ფილოსოფია თავისი არსითა და მოწოდებით ადამიანთაშორის უნივერსალური კომუნიკაციის დამყარებას ესწრაფვის და იმ ზოგადი მასშტაბების დადგენას ცდილობს, რომელიც სამყაროს მკვიდრთა მშვიდობიანი თანაარსებობის მყარი საფუძველია.“
თენგიზ ირემადე

I შესავალი

გლობალური ცვლილებების ეპოქა, ამ ეპოქის გამოწვევების გამოხმაურება, მომავლის პრობლემების დროულად პროგნოზირება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება ჰუმანიტარული ცოდნის შინაარსის გადააზრებისკენ გვიბიძგებს. აქტუალური ხდება არსებული ცოდნის შენარჩუნება, გავრცელება, ტრანსფორმაცია და გამოყენება. ფილოსოფიის პერსპექტივის, „ფილოსოფიის კრიზისის“, „ფილოსოფიის დასასრულის“ შესახებ დისკუსიების, წინასწარმეტყველებისა და პროგნოზების მიუხედავად, ფილოსოფია ახალ, პოსტკლასიკურ ფორმას იძენს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტრანსფორმაციის პროცესში, ფილოსოფიისა და მისი დანიშნულების ტრანსფორმაციაც სახეზეა. ახალი გლობალური სიტუაცია საუბრისა და დიალოგის ახალ მეთოდებს საჭიროებს. ამდენად, ფილოსოფიის ტრადიციული მოდელების გადააზრება შესაძლებლობას გვაძლევს ახალი პერსპექტივებისა და მეთოდოლოგიების დასახვისა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას ნიშნავს ფილოსოფიის გადააზრება? ფილოსოფიის გადააზრება,

უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიის ისტორიის ახლებურ წაკითხვას და დეფინიციას ნიშნავს¹. უფრო მეტიც, ამ კონტექსტში საჭირო ხდება ფილოსოფიური აზროვნების არსებული პოტენციალის თანამედროვე კოსმოპოლიტურ და სინკრეტულ აზროვნებასთან ადაპტაცია, განსხვავებული სააზროვნო ტრადიციების გათვალისწინება, აღმოსავლური და დასავლური კულტურებისა და ტრადიციების დაბალანსება.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ფილოსოფიური აზროვნების ტრანსფორმაციის თავისებურებების ანალიზი ინტერკულტურული პროცესია². უდო რაინჰოლდ იეკი თავის გამოკვლევაში ქართული და, ამავდროულად, ინტერკულტურული ფილოსოფიის პერსპექტივების შესახებ, აღნიშნავს, რომ სწორედ ამგვარ კვლევებს ეკუთვნის მომავალი³. ამ კონტექსტში საჭირო ხდება დასავლური ფილოსოფიის მთელი ისტორიული მემკვიდრეობის ახლებური შეფასება, მისი როლის ახლებური განსაზღვრა. ამდენად, ფილოსოფიის თეორიულ-მსოფლმხედველობრივ, ევრისტიკულ და რეფლექსიურ ფუნქციებთან ერთად, კიდევ უფრო აქტუალური ხდება მისი სოციო-პრაქტიკული ფუნქცია – მან პლანეტის მომავალი მენტალური ერთიანობის ფორმირებას და ადამიანთა შორის ოპტიმალური კომუნიკაციის დამყარებას უნდა შეუწყოს ხელი.

თუკი ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეს გადავავლებთ თვალს, მაშინ შევნიშნავთ, რომ ფილოსოფია მხოლოდ რამდენიმე ქართულ უნივერსიტეტშია წარმოდგენილი. ამის მიზეზი ცხადი და ნათელია: თანამედროვე უნივერსიტეტი, ხშირ შემთხვევაში, კორპორაციულ დაწესებულებად იქცა და, თითქმის მთლიანად, ბაზრის მოთხოვნებზეა ორიენტირებული (არადა, ფილოსოფოსები წარმატებით მოღვაწეობენ პოლიტიკაში, ბიზნესში, მეცნიერებასა და სხვ. სფეროებში)⁴. კორპორაციული უნივერსიტეტებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში დროდადრო განახლდება ხოლმე საუბარი ჰუმანიტარული ცოდნის კრიზისზე, უნივერსიტეტისა და ფილოსოფიის კრიზისის ურთიერთმიმართებაზე (მ. ჰაიდეგერი), კანტიანურ-ჰუმბოლტიანული საწყისების მოშლაზე... ფილოსოფიის (და ზოგადად ჰუმანიტარული დარგების) კრიზისი იმ მიმართულებითაც იკვეთება, რომ სამეცნი-

1 უდო რაინჰოლდ იეკი, განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, თბილისი, 2010 (მეორე გამოცემა: 2013 წ.).

2 გვ. G. Endress, The New and Improved Platonic Theology. Proclus Arabus and the Islamic Philosophy, in: A. Ph. Segonds, C. Steel (ed.), Proclus et la theologie platonicienne. Actes du Colloque International de Louvain (13-16 mai 1998), Leuven-Paris 2000.

3 უდო რაინჰოლდ იეკი, განაზრებანი..., გვ. 54.

4 შდრ. Taylor M.C. End the University as We Know It // The New York Times, April 26, 2009. http://www.nytimes.com/2009/04/27/opinion/27taylor.html?_r=1

ერო კვლევების შედეგად, არც თუ ისე იშვიათად/ძირითადად ისეთი პროდუქტი იქმნება, რომლის ადგილი ბაზარზე არც არის. დღეს, პოსტგლობალიზაციის/პოსტკლასიკურ ეპოქაში, უალრესად მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა თავიდან აიცილოს საფრთხე – არ იქცეს მხოლოდ ანგაჟირებული სამეცნიერო კვლევების ადგილად და ის კვლავაც უნდა დარჩეს თავისუფალი აზროვნების სივრცედ. ფილოსოფია ხომ ადამიანური თავისუფლების კონტურებს მოხაზავს და მის ნამდვილ ბუნებას გამოავლენს, იმ ღირებულებებს ადგენს და აანალიზებს, რომელზეც უნდა დაეფუძნოს სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, პიროვნული და კულტურული ორიენტაცია.

ჰუმანიტარული ცოდნისთვის დამახასიათებელი ამ სირთულეების დაძლევა და ფილოსოფიური აზროვნების გლობალურ დისკურსში ჩართვა განსხვავებული სააზროვნო ტრადიციების აღიარებისა და გაანალიზების გარეშე ნაკლოვან ხასიათს ატარებს და კვლევის ახალ პერსპექტივებს ვერ დასახავს.

ადამიანური კულტურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც „უცნობის პირისპირ საზრიანი, გონივრული მოქმედება“⁵. უცხოს აღიარება კულტურის, როგორც მთელის, მნიშვნელოვანი ელემენტია, ამასთან, ის კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის საფუძველია⁶. შესაბამისად, ამ ელემენტის აღიარება-არაღიარების საფუძველზე განსხვავდება განათლებისა და კვლევის მოდელები (მულტიკულტურული, ტრანსკულტურული, ინტერკულტურული).

„ნაციონალური ფილოსოფია“ ლოკალურ დონეზე მსოფლიო მასშტაბების უნიფიცირებისკენ მიდრეკილ ტენდენციებს ვერ უპირისპირდება. „ვიწრო ნაციონალიზმის“ მრავალმხრივი დამლუპველი გავლენები უკვე კარგა ხანია იქცა სერიოზული დისკუსიის საგნად დასავლურ თუ ქართულ ფილოსოფიაში. საჭიროა არა სხვაგვარი ნაციონალური ფილოსოფია და აზროვნება, არამედ ნაციონალიზმის მონოეთნიკური გაგებისაგან განსხვავებული სააზროვნო მოდელები.

ნაციონალური მოდელების გადააზრების შედარებით რბილ ფორმას მულტიკულტურულობა წარმოადგენს. მაგრამ, აზროვნების ეს მოდელი მაინც ინარჩუნებს მონოკულტურულ ცენტრს, რომლის ირგვლივ, ამა თუ იმ ფორმითა და ლოგიკით, ხდება უმცირესობების დაჯგუფება. მხოლოდ ამ ფარგლებში ხდება უმცირესობათა კულტურის

5 მ. მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე (ლექციების ციკლი), თბილისი, 1992, გვ. 198.

6 უცხოს ფენომენის ახალი ფილოსოფიური მოდელებისა და ანალიზის შესახებ იხ. ბ. ვალდენფელსი, გზები ფენომენოლოგიისა, პასუხს რომ იძლევა, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დ. ლაბუჩიძემ (სამეცნიერო სერია „ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“, ტ. 7), თბილისი, 2013.

ან სააზროვნო მოდელების პრაქტიციზაცია. ის, როგორც წესი, მაგისტრალურ ხაზს ვერ აყალიბებს. საბოლოო ჯამში, მულტიკულტურული მოდელის მიზანი უმცირესობათა ინტეგრაცია და ასიმილაციაა. მულტიკულტურული სააზროვნო მოდელის თანამედროვე კონცეფცია კომუნიტარიზმის (ა. მაკინტაირი, ჩ. ტეილორი, მ. ველტცერი და სხვ.) და სამართლიანობის კონცეფციის (ჯ. როულსი) დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბდა. თანამედროვე ლიბერალური აზროვნებისთვის დამახასიათებელი მშრალი პრინციპები და ნეიტრალიზმი მულტიკულტურული დისკუსიის წინააღმდეგობრივ ხასიათს წარმოაჩენს; აქ რამდენიმე თვალსაზრისი ფიგურირებს: უმცირესობათა კულტურა ან სააზროვნო ტრადიცია პოტენციური რისკების შემცველია, მოდერნულობიდან ამორთულია და პოზიტიურ იდენტობას ვერ ქმნის, უბრალოდ, ეგზოტიკურად აღიქმება.

დღეს მულტიკულტურალიზმის ირგვლივ მრავალი კითხვის ნიშანი ისმება. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომ მან სრულიად საპირისპირო ტენდენციებს დაუდო სათავე: მემარცხენეების სწრაფვას ქრისტიანობისა და ევროპოცენტრიზმისკენ (ს. ჟიჟეკი), მემარჯვენეების ნაციონალისტური ტენდენციების ზრდას, რელიგიურ დისკუსიებს და სხვ.

II განაზრებები ინტერკულტურული ფილოსოფიის შესახებ

დღესდღეობით მულტიკულტურალიზმის ზოგადფილოსოფიური საფუძვლები დამუშავებული არ არის. ამასთან, ღირებულებების სიღრმისეული შრეების ანალიზის და ამ დონეზე დიალოგის ნაკლოვანებებიც სახეზეა. ეს სირთულეები ინტერკულტურული აზროვნებით, კერძოდ კი, ფილოსოფიურ დისციპლინებში ინტერკულტურული ცოდნით არის დაძლეული. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ის, რომ უპირატესად ფილოსოფიის, ფილოსოფოსობის სტილი იცვლება. სოციალური და აქტუალური აზრით, ეს ფილოსოფიური თეორიის პრაქტიკასთან დაახლოებას ისახავს მიზნად. ფილოსოფიამ სხვა ცოდნას უნდა გაუღოს კარი და ევროპული ტრადიციის/მოდელის გვერდით სხვა სააზროვნო ტრადიციებიც უნდა აღიაროს და გაანალიზოს.

ინტერკულტურულ ფილოსოფიას უახლეს გამოკვლევებში გლობალიზაციის ალტერნატივად განიხილავენ (იხ. რ. ფორნეტ-ბეტანკურის სტატია „გლობალიზაციის ალტერნატივები: თეზისები ინტერკულტურული ფილოსოფიის განვითარებისთვის“)⁷. ინტერკულტურული

7 Fornet-Betancourt R. An Alternative to Globalization: Theses for the Development

ფილოსოფია არის სამუშაო პროექტი, რომლის მიზანია ფილოსოფოსობის პარადიგმის სახეცვლილება/შეცვლა. ეს ტრადიციული ფილოსოფიის მიერ შექმნილი მონოკულტურული სტრუქტურების რღვევით მიიღწევა ან კიდევ იმ ფილოსოფიური პოზიციის აღიარებით, რომლის თანახმად ფილოსოფიები (ფილოსოფიური პლურალიზმი) კულტურულ მატრიცებს და მათგან გამომდინარე არგუმენტაციისა და დასკვნების წესს შეესაბამება. ინტერკულტურული ფილოსოფია აზროვნების იმგვარ ტიპს ეფუძნება, რომელიც საკუთარ კულტურულ საზღვრებს გადალახავს და არა მხოლოდ აღიარებს აზროვნების განსხვავებულ ფორმებს, არამედ ისწრაფვის სოლიდარობისკენ. ინტერკულტურული ფილოსოფიისთვის აზროვნების განსხვავებული ტრადიციები არის სამყარო, რომელიც თავის საკუთარ ტერმინებში არსებობს. შესაბამისად, ის აცნობიერებს, რომ მხოლოდ ამ „უნივერსუმების“ მეშვეობით არის შესაძლებელი ფილოსოფიის დაახლოება უნივერსალურთან. მთლიანობაში, „ინტერკულტურული ფილოსოფია ისწრაფვის იქცეს იმგვარ ფილოსოფიად, რომელიც კულტურული ურთიერთთანამშრომლობით პრაქტიცირდება“⁸.

დღეს უნივერსალურის იდეა, როგორც კულტურათა შორის სოლიდარობის პრაქტიკა, მივიწყებულია. ინტერკულტურული ფილოსოფია, მთელი თავისი აქტიულობით, ურთიერთპატივისცემას, ტოლერანტობას და სოლიდარობას ეფუძნება. ინტერკულტურული ფილოსოფია ფილოსოფიურ ცოდნას არა მხოლოდ თეორიის, არამედ კონკრეტული ისტორიული რეკონსტრუქციების დონეზე გადაიზარებს; ამგვარად, გზაგასაყარზე რეკონსტრუირებული ცოდნა და უფრო მყარი/მდგრადი ფილოსოფიური მოდელები და მონოკულტურული კონცეპტუალური სისტემები ერთმანეთის გვერდით განიხილება. ეს ერთგვარი პოლიფონიური ფილოსოფია განსხვავებულის ინტერპრეტაციისას მედიატორის პოზიციას იკავებს – მისთვის მიუღებელია ფილოსოფიისა და კულტურათა საყოველთაო განზომილების შესაძლებლობა, განსხვავებულობის პოსტმოდერნისტული აბსოლუტიზაცია, გავების და საქმიანი დიალოგის შეუძლებლობა.

საინტერესოა, რა ადვილს იკავებს თავად განათლების მოდელში შემეცნების ინტერკულტურული მოდუსი, რომელსაც, შესაძლოა, ერთგვარი ტრანზიტული ხასიათი აქვს. ინტერკულტურული ფილოსოფია, მულტიკულტურული პრაქტიკისაგან განსხვავებით, „მრავალფეროვნების პროლიფერაციას“ არ წარმოადგენს. ის არც სხვა მრავალი

of an Intercultural Philosophy // Latin American Perspectives on Globalization: Ethics, Politics and Alternative Visions. Rowman and Littlefield Publishers: Lanham, Oxford, N.Y., 2002, pp. 230-236.

8 შდრ. იქვე, გვ. 230.

კონკრეტული ტრადიციის სინკრეტულ გაერთიანებას წარმოადგენს. ინტერკულტურული ფილოსოფია კრიტიციზმს მოითხოვს, კრიტიკულ დამოკიდებულებას როგორც საკუთარი ფილოსოფოსობის, ისე იმ ტრადიციის მიმართ, საიდანაც იგი ჩამოყალიბდა. ამ კონტექსტში „საკუთარი ტრადიცია“, შესაძლოა, იქცეს ერთგვარ ხიდად, დამაკავშირებელ რგოლად ინტერკომუნიკაციისათვის.

ამ კონტექსტში აქტუალური ხდება სხვა ცოდნის კონსტრუირება, სხვისი პატივისცემა, იმ ასახვების, რეფლექსიების და ურთიერთგავლენების ანალიზი, რაც „განსხვავებული კულტურული წარმომავლობის ტექსტობრივ ჯგუფებს შორის იკვეთება“⁹.

ინტერკულტურული ფილოსოფია მრავალმხრივ არის აქტუალური; განსაკუთრებულ აქტუალობას კი ის სამეცნიერო-კვლევით იმგვარ პროექტებში იძენს, რაც იმ პრობლემატიკას, მეთოდოლოგიას და სფეროებს ეხება, თანამედროვე გლობალური აზროვნების კონტექსტში რომ არის მნიშვნელოვანი; ის გავლენას ახდენს, უკუხემოქმედებს განათლების და ცოდნის შეძენის პროცესზე, ყურადღებას ამახვილებს აზროვნების ახალ და უცნობ ტენდენციებზე; ის აფართოებს ადამიანთა მსოფლმხედველობას და ამ ქრილში ახლებურად წარმოჩნდება და შეფასდება ფილოსოფიის, ფილოსოფიის ისტორიის, შედარებითი ფილოსოფიის, პოლიტიკური გლობალისტიკის და ა. შ. სხვადასხვა პრობლემა. ასეთი ტიპის საგანმანათლებლო პრაქტიკა და გამოცდილება აქტუალური ხდება კომპლექსური სამეცნიერო პროექტების, სამაგისტრო პროგრამების და ორმაგი დიპლომების განხორციელებისას.

III. ქართული ფილოსოფიის ახალი კონცეპტები

ინტერკულტურული აზროვნებისა და თანამედროვე ფილოსოფიის ზემოთ განხილულ აქტუალურ პრობლემებს ეხმიანება თენგიზ ირემადის უახლესი გამოკვლევა „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“¹⁰. წინამდებარე ნაშრომში ინტერკულტურულობა და ინტერდისციპლინურობა ფილოსოფიურ პრობლემათა კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და წარმატებულ მეთოდოლოგიად არის აღიარებული. ნაშრომის მეთოდოლოგიური განაზრებანი უაღრესად საგულისხმოა და ქართული ფილოსოფიის მსოფლიო ფილოსოფიაში ჩართვის ახალ, უნიკალურ პერსპექტივებს გამოკვეთს. პროექტის უმ-

9 უდო რაინჰოლდ იეკი, განაზრებანი..., გვ. 68.

10 იხ. თ. ირემადე, ფილოსოფია, ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბილისი, 2013.

თავრესი მიზანი ფილოსოფიის „ვიწრო-ნაციონალური საზღვრებიდან დახსნა“, რადიკალური ევროპოცენტრიზმის კრიტიკა და გლობალური აზროვნების ეპოქაში უნივერსალური აზროვნების აუცილებლობის ჩვენებაა.

„ფილოსოფია უნივერსალურისა და ზოგადის შესახებ მეცნიერებაა, ხოლო ფილოსოფოსი უნივერსალურისა და ზოგადის სპეციალისტი. მან უნდა შეძლოს მარად ცვალებად სამყაროში ის „ანთროპოლოგიური მუდმივები“ იპოვოს, რომელიც გლობალური ცვლილებების ეპოქაში უნივერსალური აზროვნების საჭიროებასა და აუცილებლობას დაგვანახებს“¹¹. ინტერკულტურული კვლევის ეს მეთოდოლოგია ფილოსოფიური კვლევების და აზროვნების სრულიად ახალ, განსხვავებულ პერსპექტივებს სახავს; ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე შექმნილი „შთამბეჭდავი დოკუმენტების“ ინტერკულტურული ანალიზი ევროპული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის შეზღუდულობის/ცალმხრივობის გადალახვას ისახავს მიზნად. ამ კონტექსტში, პირველყოვლისა, აქტუალური ხდება ფილოსოფიის ძველი იდეების, კონცეპტებისა და მოდელების თავდაპირველი სტატუსის გადახედვა და რეაქტუალიზება. ახალი მეთოდოლოგია და შემეცნების ეს რთული პროცესი სწორედ „ახლის ხედვისა და ძველის გადახედვის დიალექტიკაშია ჩაფხვნილი“¹².

თენგიზ ირემაძის გამოკვლევაში ფილოსოფიის მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან, ევროპულ და არაევროპულ, პრიორიტეტულ და არაპრიორიტეტულ, მაგისტრალურ და მარგინალურ ხაზებად მკვეთრი დაყოფის მიზანშეწონილობა საეჭვოდაა მიჩნეული. საამისოდ იგი მყარ არგუმენტს იშველიებს: ფილოსოფიის ისტორიის ჰეგელისეული კონცეფციიდან მომდინარე „[...] ევროპული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის შედეგად განხორციელებულმა ამ მკაცრმა და მკვეთრმა დაყოფამ, [...] შეაფერხა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ურთიერთგაგებისა და დაახლოების ერთობ სასურველი პროცესი“¹³. უფრო მეტიც, მისი აზრით, „ამგვარი მიდგომა საბედისწეროც კი აღმოჩნდა თავად ევროპული აზროვნების განვითარების გზაზე და მან მნიშვნელოვანწილად შეაფერხა ინტერკულტურული დიალოგის პროცესი“¹⁴.

ამდენად, თენგიზ ირემაძის ორიგინალური თეორიული განაზრებანი თვით ჰეგელის ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის ერთგვარი რევიზიისკენ გვიბიძგებს, რადგან ჰეგელი ახალი დროის ევროპულ

11 თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 7.

12 თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 8.

13 თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 8.

14 თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 8.

აზროვნებაში ევროპოცენტრიზმის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მოამბე იყო. არადა, ევროპული აზროვნება „საერთო სიბრძნის“ და კულტურათა შორის დიალოგის მისაღწევად ისევე ცალმხრივი აღმოჩნდა, როგორც აღმოსავლური კულტურის ინდივიდუალიზმი. თ. ირემაძე ამ თეორიული ნაკლოვანების დაძლევის აუცილებლობაზე¹⁵ მიუთითებს და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ე. წ. „პარადიგმატული მეტაფორების“ საჭიროებაზე საუბრობს, რაც, ეპისტემოლოგიური და კონცეპტუალური პერსპექტივიდან გამომდინარე, შემეცნების ინტერკულტურულ პროცესში „მშრალი“ და „ცარიელი“ ცნებების ნაკლოვანებას გადალახავს¹⁶.

თენგიზ ირემაძის წიგნის პირველ ნაწილში („ანტიკურობა და ბიზანტიური მემკვიდრეობა“) გაანალიზებულია ანტიკური (ბიზანტიური) ფილოსოფიის საფუძველმდებარე თეზისების „ასახვა“ და „გარდასახვა“, რეცეფცია და ტრანსფორმაცია განსხვავებულ სააზროვნო მოდელებში, რაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა მხოლოდ ევროპული (ლათინურენოვანი, გერმანული) კულტურის ჩამოყალიბებისთვის, არამედ ქართული აზროვნებისთვისაც. ამ თვალსაზრისით, ქართული ფილოსოფიის პარადიგმატული „(კონ)ტექსტ(ებ)ი“ ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევების ჭრილში სრულიად სხვა ასპექტებით წარმოჩნდება და, ავტორის აზრით, „სულ ცოტა, ე. წ. „კავკასიური ფილოსოფიის“ ლეგიტიმურობაზე საუბრის შესაძლებლობას გვაძლევს“¹⁷. ამის საუკეთესო მაგალითს ახალი დროის აზროვნებაში ანტონ ბაგრატიონი და მისი ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სკოლა წარმოადგენს. ამ სკოლამ საქართველოსა და სომხეთს შორის ფილოსოფიური აზროვნების დიალოგს შეუწყო ხელი. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იოანე პეტრიწის ფილოსოფიის გზით¹⁸ შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ქართულ და სომხურ აზროვნებაში პროკლე დი-

15 ამ კონტექსტში აქტუალური ხდება ფრ. ნიცშეს ინდივიდუალიზმის თეორიის და გრ. რობაქიძის ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ნაშრომების ინტერპრეტაცია. იხ. თ. ირემაძე, ჭეშმარიტება, ინტერპრეტაცია და კომუნიკაციის პრობლემა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაში, იხ. სიცოცხლის ფილოსოფია. პრობლემები და პერსპექტივები, რედაქტორ-შემდგენელი: ლ. ზაქარაძე, მ. გოგატიშვილი, თბილისი, 2009, 10-15. თ. ირემაძე, ინდივიდუალიზმი თუ ინტერსუბიექტურობა? (ნიცშე და კანტი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში), იხ.: გრიგოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება, რედაქტორ-შემდგენლები და წინათქმის ავტორები მ. თავხელიძე, თ. ირემაძე, თბილისი, 2011, გვ. 110-123.

16 თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 13.

17 თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 9.

18 საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის, რომ 1243 წ. გარნისის ეპისკოპოსის სვიმეონის მიერ შესრულებული პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების“ პირველი სომხური თარგმანი პროკლეს ტექსტის პეტრიწისეული ქართული თარგმანიდან არის შესრულებული.

ადოხოსის ფილოსოფიის რეცეფციისა და ტრანსფორმაციის თავისებურებები განისაზღვრა.

განსახილველი წიგნის მეორე ნაწილში („ფილოსოფიის ძველი კონცეპტების რეაბილიტაციის ახალი ცდა“) ფილოსოფიის ის მთავარი კატეგორიებია განხილული, რომელთაც წინამდებარე ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევა ეფუძნება. განსხვავებულ კულტურებთან და სააზროვნო ტრადიციებთან დაკავშირებული ეს ფილოსოფიური კონცეპტები გლობალური აზროვნების პერსპექტივაშია გააზრებული. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ რეკონსტრუქცია, არამედ მათი ინტერკულტურული შინაარსის რეაქტუალიზება და ახალი ასპექტების წამოწევა. ფილოსოფიური რეფლექსიის ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, „არისობის“/„ყოფნის“ უზოგადესი კანონზომიერების შესახებ კონცეპტუალური განმარტებები ექცევა. ფილოსოფიური განაზრებები იოანე პეტრიწის შეხედულებების ფონზეა განხილული. მასთან ყოფნის ფილოსოფიურ კატეგორიას ცვლის მყოფი/არმყოფი (ავტორის აზრით, სწორედ არყოფნა და არა არაა ხდება ყოფნის კორელატური ცნება)¹⁹. ყოფნის აზროვნებითი მოდუსი (აზროვნებითი ყოფნა განსხვავდება ფაქტობრივი ყოფნისაგან) წარმოჩნდება. აზროვნებითი ყოფნა ყოფნისა და არყოფნის შესახებ ყოველგვარი მსჯელობის საფუძვლად გვევლინება: „ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, აზროვნება საკუთარი თვითობისა და სხვათა თვითობების პირველადი სინამდვილეა“²⁰.

კულტურის ტრადიციული ფორმების არსებობა და ადამიანის ყოფიერება გარკვეულ ცნებებსა და ღირებულებებს ეფუძნება. სწორ შემთხვევაში მათ აბსოლუტურ უეჭველ ცნებებად მიიჩნევენ. ჭეშმარიტების ფილოსოფიური კატეგორია ამგვარ ცნებათა რიგს მიეკუთვნება. თუმცა, ჭეშმარიტების ცნებამ აზროვნების თანამედროვე მოდელებში თავისი უნივერსალური ხასიათი დაკარგა და მას „ინტერპრეტაცია“ და „შეფასება“ ჩაენაცვლა. აქედან გამომდინარე, დიდი გერმანელი ფილოსოფოსის, ფრიდრიხ ნიცშეს მთელი შემოქმედება ინტერკულტურული აზროვნების ჭრილში საგანგებო მნიშვნელობას იძენს. ნიცშეს საყოველთაოდ ცნობილი ფრაზები – „ყველა დროს თავისი ჭეშმარიტება აქვს“, „ისტორია ყოველთვის ახალ ჭეშმარიტებებს წარმოშობს“, „ჭეშმარიტება კეთილისა და ბოროტის მიღმა დროითი ჭეშმარიტებაა“ – დღეს უაღრესად აქტუალურია. აქ თ. ირემაძე, ერთი მხრივ, ფრ. ნიცშეს ფილოსოფიური პროგრამის (რე)ინტერპრეტაციას გვთავაზობს, მეორე მხრივ კი, ჭეშმარიტების ძველი ცნების მოდელი-

19 იხ. თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 60-65.

20 თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 65.

რებულ რეკონსტრუირებასაც ახდენს: „შემეცნებელი ინდივიდი სამყაროში უკვე არსებული საზრისის პოვნას კი არ ცდილობს, არამედ თავისი შემოქმედებითი ხასიათისა და საქმიანობის საფუძველზე ანიჭებს საზრისს სამყაროს²¹“. მეორე მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მიდგომა რეცეფციისა და ტრანსფორმაციის წინა პლანზე წამოწევაა: „ფილოსოფიური იდეები მათი რეცეფციისა და ტრანსფორმაციის მეშვეობით იძენენ აქტუალობას“²².

სწორედ ამ პერსპექტივიდან გამომდინარე წამოიჭრება თანამედროვე ფილოსოფიის საფუძველმდებარე კონცეპტების შესახებ კითხვები, რომელსაც განსახილველი გამოკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა. რა არის დასახული კვლევა-ძიების საფუძველი? მყოფი თუ ყოფნა? ჭეშმარიტება თუ ინტერპრეტაცია? ინდივიდუალიზმი თუ ინტერსუბიექტურობა? ცოდნა თუ სიბრძნე? ფილოსოფიის ძველი, ტრადიციული კონცეპტების რეაქტუალიზებით აქ თანამედროვე ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება იკვეთება: „[...] მისი მომავალი თვით მისსავე წიაღში და მისი ჰორიზონტის განვრცობაშია საძიებელი“²³. სიბრძნის ტრადიციული „ანტიკურ-შუასაუკუნეობრივი“ მოდელის აღორძინებით და მისი განვრცობით შესაძლებელი ხდება „სინამდვილეში არსებული დაპირისპირებულობებისა და წინააღმდეგობების დაძლევა, მათი გადალახვა და სამყაროს მორალური გაუმჯობესება“²⁴. ფილოსოფიის დანიშნულებისა და მისი პერსპექტივის შესახებ თ. ირემადის განაზრებები ეხმიანება თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში ბოლო დროს გამოთქმული მოსაზრებების პათოსს²⁵.

21 თ. ირემადე, ფილოსოფია..., გვ. 67.

22 თ. ირემადე, ფილოსოფია..., გვ. 71.

23 თ. ირემადე, ფილოსოფია..., გვ. 11.

24 თ. ირემადე, ფილოსოფია..., გვ. 94.

25 უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მკაცრი მოთხოვნების პირობებში ამავე მიზნების მიღწევისა და უსამართლობის გადალახვის შესაძლებლობას ანტიკური ეთიკური მოძღვრების აღორძინებაში ხედავს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდავოდ საინტერესო გერმანელი ფილოსოფოსი იულიან ნიდა-რიუმელინი. ამ საკითხებს ეძღვნება მისი ბოლო დროინდელი მონოგრაფია „ოპტიმალობის შემთხვევები“ (შდრ. J. Nida-Rümelin, Die Optimierungsfälle. Philosophie einer humanen Ökonomie, Irisiana Verlag, München, 2011). იულიან ნიდა-რიუმელინი (*1954) არის მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორი. რაციონალიზმის, ეთიკის, პოლიტიკური ფილოსოფიის, კულტურის თეორიის, მეცნიერებისა და შემეცნების თეორიის ცნობილი მკვლევარი. იგი სხვადასხვა დროს იყო გერმანიის არა ერთი სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადოების წევრი, მათ შორის, გერმანიის ფილოსოფიური საზოგადოების პრეზიდენტი, მეცნიერებათა ევროპული აკადემიის, გიოტინგენის მედიცინის ეთიკის აკადემიის, პოლიტიკური აზროვნების კვლევის გერმანული საზოგადოების (DGEPD), მიუნხენში ებრაელთა ცენტრის წევრი და სხვ.

წიგნის მესამე ნაწილში („ძველი იდეების მსხვერველა, ახალი კონცეპტები და ინტერკულტურული აზროვნება“) გაანალიზებულია თანამედროვე ფილოსოფიის ახალი იდეები, ძველი იდეების მსხვერველისა და ჩახშობის ტენდენციები და წინა პლანზეა წამოწეული ინტერკულტურული აზროვნების ჰერმენევტიკული შრეები. აქ ავტორის განაზრებები თავისუფლების შესახებ რეფლექსიით იწყება. ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი და მარადიული თემა – თავისუფლება და მისი საფრთხეები თანამედროვე სამყაროს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (მაგალითად, ნეირომეცნიერებების) მიღწევების ფონზე ახლებურ გააზრებასა და გადააზრებას საჭიროებს. ავტორი აქაც გვთავაზობს ამ საკითხის ორიგინალურ ინტერპრეტაციას ისევ და ისევ მისეულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით: თავისუფლების პეტრიწისეული იდეალის გაქრობა და თავისუფლების იდეის ბედი საბჭოთა საქართველოს ფილოსოფიაში, ევროპული ძალისხმევა და ფილოსოფიური ძალისხმევა, ფრიდრიხ ნიცშეს „დიდი ევროპული პოლიტიკის“ და მერაბ მამარდაშვილის „მცირე ევროპული პოლიტიკის“ შედარებითი/კრიტიკული ანალიზი პრინციპულად ახალი პასუხისმგებლობის მქონე აზროვნების, კერძოდ კი, ახალი ევროპული პასუხისმგებლობის კონტურებს მოხაზავს.

რატომ უნდა შეიქმნას კრიტიკული ნაშრომი თავისუფლების ფილოსოფიური იდეის ბედის შესახებ საბჭოთა საქართველოს ფილოსოფიაში? ეს კითხვა პირველად დაისვა განსახილველ გამოკვლევაში და სრულიად სამართლიანად. თავისუფლების ისტორია ხომ არათავისუფლების ისტორიასაც მოიცავს. საბჭოთა იდეოლოგიის დამღუპველი გავლენა უპირატესად ხომ ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებებს შეეხო. „სწორედ ისინი აღმოჩნდნენ მცდარად, ორთოდოქსულად გაგებული და ინტერპრეტირებული მარქსიზმის მსხვერპლნი. [...] იმდროინდელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების წამყვანი წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიის სამსახურში ჩამდგარიყვნენ“²⁶. ამდენად, ქართულ [საბჭოთა] ფილოსოფიაში არათავისუფლების ისტორიის დაწვრილებით გამოკვლევა ხელს შეუწყობს ქართულ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში ათეული წლების განმავლობაში დაკარგული „კრიტიკულ-განმანათლებლური პათოსის“ აღორძინებას. ამასთანავე, ეს „შესაძლებელს გახდის ქართული საბ-

გერჰარდ შროიდერის მმართველობის დროს მას კულტურის მინისტრის პოსტი ეკავა. მასვე ძალიან საინტერესო, კრიტიკული მოსაზრებები აქვს გამოთქმული განათლების სფეროში მიმდინარე საერთოევროპული განათლების რეფორმების თაობაზე, კერძოდ კი, „ბოლონიის პროცესის“ შესახებ.

26 თ. ირემაძე, ფილოსოფია..., გვ. 109.

ჭოთა მეცნიერების ყალბი საფუძვლისა და ფუნდამენტის გამოვლენასა თუ გამოაშკარავებას...“²⁷, სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი საბჭოთა აზროვნებისთვის ნიშანდობლივი სააზროვნო პარადიგმების „რეალური გადაფასება და უკუგდება“.

წიგნში შემოთავაზებული მეთოდოლოგიური განაზრებების სივრცეში მოექცა თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის, ფერდინანდ ფელმანის (*1939) ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფია²⁸. მისი ფილოსოფიის უმთავრეს მიზანს კლასიკოსთა აზროვნების წესისა და თანამედროვე დისკუსიის დაკავშირება, მეტაფიზიკასა და სპეციალურ მეცნიერებებს შორის არსებული წინააღმდეგობის გადალახვა წარმოადგენს. ფ. ფელმანის სააზროვნო მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს „საკუთარი თვითის“ ღირებული განცდა და თეორიული შემეცნება ცხოვრების პრაქტიკულ განზომილებასთან დაკავშიროს, თ. ირემადის აზრით, მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს სიბრძნისმეტყველების ახალი კონცეპტების შექმნისთვის.

თუ თანამედროვე აზროვნების ტენდენციებს თვალს მივადევნებთ, ცხადი გახდება რომ ხშირად ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო აზროვნებაში შეინიშნება ერთგვარი „ბუმი“ ამა თუ იმ მოაზროვნის გარშემო (ხშირ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული სააზროვნო ტრადიციის წარმომადგენლების მიმართ). ამდენად, განსხვავებული ტრადიციების შედარება, ტექსტებზე მუშაობის სპეციფიკა, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, ცნებითი აპარატი, ტერმინოლოგია, აზროვნების საერთო საწყისების ძიება და ანალიზი სულ უფრო მეტად ექცევა სამეცნიერო ინტერესების სფეროში. აქ კი კვლევის ყველაზე მყარ, თანამედროვე და საინტერესო მეთოდოლოგიად სწორედ ინტერკულტურულობა და ინტერდისციპლინურობა შეიძლება მივიჩნიოთ. თ. ირემადის აზრით, ფილოსოფოსობა „გზაგასაყართან“ სხვადასხვა კულტურის დიალოგი დასავლური და აღმოსავლური, ევროპული და არაევროპული აზროვნების „ურთიერთგაგების ტოპოსს“ აყალიბებს. კვლევის ეს მეთოდოლოგია არა ერთი უცხოელი მკვლევარისთვის იქცა საგანგებო ინტერესის საგნად. ასე მაგალითად, ახალი, „ტიპოლოგიური კვლევების“ მნიშვნელობაზე საუბრისას რუსი ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის, შუა საუკუნეების ფილო-

27 თ. ირემადე, ფილოსოფია..., გვ. 109-110.

28 იხ. F. Fellmann, Philosophie der Lebenskunst zur Einführung, Hamburg, 2009. ფერდინანდ ფელმანი ბედნიერების შესახებ გულუბრყვილო წარმოდგენებს და მოლოდინს ანგრევს და ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიას აყალიბებს. „საკუთარი თვითის გამოცდილებას“ იგი „წინარე მეცნიერებას“ უწოდებს. ამ თვალსაზრისით თ. ირემადე საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიის ფელმანისეულ მოდელსა და შალვა ნუცუბიძის „ალეთეოლოგიური რეალიზმის“ მსგავსების შესახებ. იხ. თ. ირემადე, ფილოსოფია..., გვ. 124.

სოფიის (განსაკუთრებით მაისტერ ეკჰარტის) და კულტურის ცნობილი მკვლევარი მიხეილ რეუტინი თავის უახლეს გამოკვლევებში²⁹ ამგვარი კვლევების ნიმუშად სწორედ ქართველი თ. ირემაძისა და იტალიელი მიქელე ტრიციოს, „ახალი თაობის“ ამ ორი მეცნიერის ნაშრომებს ასახელებს³⁰. განსხვავებული სააზროვნო ტრადიციების შედარებას ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მხოლოდ აზრთა ურთიერთგაზიარება ან „თავის თავში ჩაღრმავება“. ამ ორ ტრადიციას ბევრი რამ აქვთ სათქმელი ერთმანეთისთვის.

წინამდებარე გამოკვლევა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ეს ღრმადფილოსოფიური იდეები ინტერკულტურული ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებს მოხაზავს. ამ კონტექსტში მთავარია საკითხის პრობლემატიზება და რეაქტუალიზება; ის არა მხოლოდ სპეკულატიური და თეორიული განაზრებებისთვის, არამედ კულტურათა შორის დიალოგის პერსპექტივითაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფილოსოფიისა და საღვთისმეტყველო აზროვნების კოსმოსს ავტორი „გზაგასაყარს“ უწოდებს. ეს ცნება/მეტაფორა საბაზისო მნიშვნელობის შეიძლება აღმოჩნდეს ინტერკულტურული ფილოსოფიისათვის. ავტორის აზრით, ის სრულიად ადეკვატურია ქართული აზროვნების ხასიათის გამოსახატად: შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნების ანალიზი ცხადყოფს, რომ დასავლური და აღმოსავლური კულტურა აქ ხვდება ერთმანეთს და ერთგვარ „ურთიერთგაგების ტოპოსს“ აყალიბებს: „ფილოსოფოსობა და სიბრძნისმეტყველება კონცეპტუალურ და ეპისტემოლოგიურ ზღვარზე, სხვადასხვა კულტურათა, რელიგიათა და ტრადიციათა გზაგასაყარზე – აი, სად უნდა ვეძიოთ ქართული აზროვნების თავის-თავადი და თვითმყოფადი ხასიათი“³¹.

როგორც იკვეთება, ფილოსოფიის საწყისისეული წყაროებისადმი დაბრუნება, ასევე, აზროვნების აქამდე უცნობი დოკუმენტების აღმოჩენა, მათი რეინტერპრეტაციისა და რეაქტუალიზების გზით, კვლავაც

29 М. Ю. Реутин, Мистическое богословие Майстера Экхарта, М. 2011. М. Ю. Реутин, Ответ М. Ю. Реутина на рецензию монаха Диодора (Ларионова) «О некоторых проблемах интерпретации наследия святителя Григория Паламы », 2009 // (<http://www.bogoslov.ru/es/text/472026.html>)

30 ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ: ლ. ზაქარაძე, უღო რაინჰოლდ იეკი და ქართული ფილოსოფიური აზროვნება (ევროპოცენტრიზმის კრიტიკის ჭრილში), იხ.: აღმოსავლეთი და დასავლეთი. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები. უღო რაინჰოლდ იეკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედაქტორები: თ. ირემაძე, გ. თევზაძე (სამეცნიერო სერია „ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“, ტ. 6), თბილისი, 2012, გვ. 15-33.

31 თ. ირემაძე, ფილოსოფია... გვ. 14.

რჩება თავად ფილოსოფიის ერთ-ერთ საიმედო პერსპექტივად. ინტერკულტურული ფილოსოფია, რომელსაც ადამიანთა კულტურული შემოქმედებისა და აზროვნების მამოძრავებელი ძალები და საერთო (გამაერთიანებელი) პრინციპები აინტერესებს, ამ მხრივ, უნიკალურ შესაძლებლობებს გვათავაზობს. ამდენად, ქართული ფილოსოფიის ძველი და ახალი კონცეპტები სწორედ ინტერკულტურული ფილოსოფიის ჭრილში იძენენ ახალ პერსპექტივებს. ეს კი, თავის მხრივ, ქართული ფილოსოფიისადმი ჭეშმარიტ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს აღძრავს და მას სრულიად ახალი მასშტაბებს სძენს. თენგიზ ირემიძის გამოკვლევაში სწორედ ამ ასპექტებზეა გამახვილებული ყურადღება და სამომავლო თეორიული აზროვნების ახალი გზებიცაა მოხაზული.

A Corpus of Andrezs

Zurab Kiknadze's *A Corpus of Andrezs* (Religious and mythological traditions of eastern Georgian highlands) is a significant source for the study of myths characteristic of the highlands of eastern Georgia. It prepares the foundation for the philosophy of mythology in Georgia. This collection reveals how Christianity and paganism are intertwined. It tells us about the friendship and enmity of people and demons, the phenomenon of the divine, and sanctuaries typical of the region.

Lali Zakaradze

New Perspectives for Georgian Philosophy in the Light of Intercultural Thought (Reflections on Prof. Tengiz Iremadze's Work *Philosophy at the Juncture of Eras and Cultures*, Tbilisi, Nekeri 2013)

This paper discusses the difficulties inherent in the crisis of university and philosophy, and considers perspectives for their solution. It is suggested that philosophical thought should be engaged in a global discourse, different thinking traditions of philosophy should recognize and reflect each other, national models should be reconsidered, and new research perspectives be outlined. This paper offers some reflections on intercultural philosophy and, in this light, foregrounds new concepts and perspectives observable in Georgian philosophy (T. Iremadze).

Khvtiso Mamisimedishvili

Gottfried Merzbacher on the High Mountain Regions of the Caucasus

Gottfried Merzbacher travelled in the Caucasus between 1891 and 1892. His two-volume book *The High Mountaineous Regions of the Caucasus*, published in Leipzig in 1901, is an important source to learn about the geology and geography of the Caucasus as well as the historical past and ethnography of its inhabitants. This paper considers Merzbacher's ideas and observations on Caucasian highlanders from a modern perspective.